შპს „ოქროს ლომი 2008“-ის

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ოქროს ლომი 2008" (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2006 წლის 18 იანვარს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 245548812, იურიდიული მისამართი - საქართველო, ბათუმი, გუდიაშვილის ქ., # 28 ფაქტობრივი მისამართი საქართველო, ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. 4 (კუნძული არდაგანის ტბაში) კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ანზორ ათაბაძე პ.ნ 61004056449.

1.3. კომპანიის დირექტორია ანზორ ათაბაძე პ.ნ 61004056449.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო მომსახურების გაწევა ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. 4 (კუნძული არდაგანის ტბაში). კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 9 კაცს.

1.6. კომპანიის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს. 2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ;

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით). ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების

შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით: შენობა-ნაგებობები - 25 წელი; მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი; კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი; ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი; სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი; იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი; სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.
დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება: - იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

-იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება

ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%; - არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის" სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის" შესაბამისად. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები. 2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით. გაცვლითი სავალუტო კურსები სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ: 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3257	5033,72
სულ:	3257	5033,72

3.2 სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	0	216.35
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	997,75
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	74626,57	37279.14
სულ:	74626,57	38493,24

მოთხოვნები წარმოქმნილია სარესტორნო მომსახურების გაწევიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. 2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები 266 ლარის ოდენობით.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	1083	4699,66
სულ:	1083	4699,66

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაგებობები	1641056,03	1420707.81
მანქანა-დანადგარები	107617.90	76918.66
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	48611.52	30346.00
ავეჯი და სხვა ინვენტარი	233947.15	178815.68

სპეციალური ინსტრუმენტები	83942.97	64173.34
სამზარეულოსა და ბარის ინვენტარი	138086.55	78884.36
1000 ლარამდე ძირითადი საშუალებები	19082.24	3391.54
სულ:	**2272344,36**	**1853237,39**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მცენარეები	**17200**	**17200**
სულ:	**17200**	**17200**

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	**345538**	**239120,72**
სულ:	**345538**	**239120,72**

3.8. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით

გადასახდელი ხელფასები	11810,2	11031.60
სულ:	**11810,2**	**11031,6**

3.9. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხები	**614648**	**813624.82**
სულ:	**614648**	**813624.82**

3.10. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	840151.17	840151.17
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-260218,94	-215746.23
სულ:	**579932.23**	**624404,94**

3.10. საერთო ადმინისტრაციული და სხვადასხვა ხარჯები

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
საერთო ადმინისტრაციული და სხვადასხვა ხარჯები	**891983**	**1601260.66**
სულ:	**891983**	**1601260.66**

3.11. საპროცენტო დანახარჯები:

2020 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯები ძირითადად შედგებოდა სს „თიბისი ბანკისაგან აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან, ასევე დამფუძნებლისგან აღებული სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2021 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა. უცვლელია საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებები.

3.24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორის მინდობილი პირი ... ბრაკლი ბულეიშვილი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3257	5033	3956
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	216	2085
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	75722	37279	19137
მარაგები	31059	4700	9353
ბრა პროდუქცია	1083	0	0
სხვა	29976	4700	9353
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	20277	0
ბიოლოგიური აქტივები	17200	17200	17200
თვითღირებულების მოდელით	17200	17200	17200
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1758122	1853238	1641056
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	12451
სულ აქტივები	1885360	1937943	1705238
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	346634	239121	220375
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11970	11158	10000
საგადასახადო ვალდებულებები	23522	16899	13460
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	923302	813625	1122668
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	232735	125869
სულ ვალდებულებები	1305428	1313538	1492972
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	840151	840151	840151
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-260219	-215746	-627885
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	579932	624405	212266
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1885360	1937943	1705238
სულ მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

	31/12/2020	31/12/2019
გაჭიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	818276	1430942
გაჭილის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	818276	1423347
საშუალო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	7595
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	818276	1430942
სხვა საოპერაციო შემოსავალი	29235	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-90602	-157719
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-158890	-141250
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-137547	0
იჯარის ხარჯი	0	-60333
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-504945	-664200
სულ საოპერაციო ხარჯები	-862749	-1023502
საოპერაციო მოგება	-44473	407440
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	4699
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სასხრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-44473	412139
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-44473	412139
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრა	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-44473	412139
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	624405	212266
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	579932	624405

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1776	1077
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1776	1077
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5033	3956
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3257	5033

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

06866935048418

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181101708

რეგისტრაციის თარიღი

10.09.2018 წ

ნოტარიუსი: ნათია ფაღავა
მისამართი: ბათუმი, მელაშვილის ქ. N29
ტელეფონი: +995 (422) 241774

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის ათ სექტემბერს მე, ნოტარიუს ნათია ფაღავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი ბათუმი, მელაშვილის ქუჩა N29, მომმართა **შპს „ოქროს ლომი 2008"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 18/01/2006წ., საიდენტიფიკაციო N245548812, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ., N28) **დირექტორმა ბატონმა ანზორ ათაბაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს და სანოტარო წესით დაადასტუროს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **ბატონ ირაკლი ბულეიშვილს**. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით **და** დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბატონმა ანზორ ათაბაძემ**, დაბადებული 23.12.1964წ., მცხოვრები საქართველო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ქობულეთი, მეგობრობის ქუჩა, N28, პირადი N61004056449, მომმართა.

მე დავადგინე ის ფაქტი, რომ **ბატონი ანზორ ათაბაძე** უფლებამოსილია, როგორც დირექტორმა წარმოადგინოს **შპს „ოქროს ლომი 2008"**, თანახმად დანართში თანდართული დოკუმენტებისა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობა, მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა, მან წაიკითხა მინდობილობა, დაადასტურა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის მიერ გამოვლენილ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ქალაქი ბათუმი, ორი ათას თვრამეტი წლის ათი სექტემბერი.

მე, **შპს „ოქროს ლომი 2008"-ის** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 18/01/2006წ., საიდენტიფიკაციო N245548812, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ., N28) **დირექტორი ანზორ ათაბაძე**, ამ მინდობილობით **ბატონ ირაკლი ბულეიშვილს**, დაბადებული 28.12.1987წ., პირადი №61001049015, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

ა) იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერი საბანკო დაწესებულების წინაშე, საზოგადოების სახელით გახსნას ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში, ასევე უკვე გახსნილ ნებისმიერ ანგარიშზე, ნებისმიერ ვალუტაში, ყოველ სერვისცენტრსა და განყოფილებაში აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, თანხის შეუზღუდავი რაოდენობით შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, მიიღოს ამონაწერები, ინფორმაცია საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის მოძრაობისა და ნაშთების შესახებ, გააქტიუროს და ისარგებლოს ინტერნეტბანკინგით;

ბ) აღნიშნული საზოგადოების სახელით **დადოს კომერციული და/ან არაკომერციული გარიგებები** და უზრუნველყოს მათი შესრულება, შეიძინოს საქონელი, მოახდინოს ტვირთის მიღება, ტრანსპორტირება, ექსპორტ–იმპორტი და **აწარმოოს სასაქონლო ოპერაციები**, საზოგადოების სახელით მიიღოს ნებისმიერი სახის ტვირთი, (**გააფორმოს ტვირთი, მოახდინოს მისი სატარიფო ღირებულების გადახდა და სხვ.**), განახორციელოს ტვირთის რეალიზაცია სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით, მოახდინოს ანგარიშსწორება, გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი დანიშნულებისამებრ, საზოგადოების სახელით დადოს და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, სამუშაოზე მიიღოს და გაათავისუფლოს პერსონალი, რისთვისაც იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის ორგანოებში (საგადასახადო ორგანოები), საბაჟო ორგანოებში, მიიღოს და წარადგინოს ცნობები, ამონაწერები, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტაციას, მათ შორის, მიიღოს და ხელი მოაწეროს მკაცრ აღრიცხვის დოკუმენტაციას (ანგარიშ–ფაქტურებს და სხვ.), შემოსავლების სამსახურში განახორციელოს ყველა ტიპის ოპერაცია, მათ შორის, სალარო აპარატთან დაკავშირებით, მიიღოს სალარო აპარატი, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას;

გ) საზოგადოება წარმოადგინოს ყველა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურდიულ პირთან, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ზედამხედველობისა და არქიტექტურულ სამსახურებში, სანოტარო ბიუროებში, იუსტიციის სახლში, მის შესაბამის განყოფილებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში, საზოგადოების სახელით დაწეროს განცხადებები, საჩივრები (შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გაასაჩივროს შემოსავლების სამსახურის მოქმედებები), მიიღოს ან/და ჩააბაროს დოკუმენტები, საზოგადოების სახელით იმოქმედოს **ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის**, ინტერნეტის, **წყალმომარაგების კომპანიებთან**, დააყენოს აღრიცხვაზე აბონენტად, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები, ხელი მოაწეროს შეთანხმებებისა და მიღება-ჩაბარების აქტებს, საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების სახელით ზემოაღნიშნული დაწესებულებებიდან აიღოს ნებართვა ან/და ტექნიკური პირობა,

საზოგადოების სახელით განცხადებით მიმართოს შესაბამის საჯარო თუ კერძო დაწესებულებებს სატელეფონო ნომრებისა და ინტერნეტისათვის, ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, შეთანხმების აქტებსა და/ან მიღება-ჩაბარების აქტებს, შეიტანოს განცხადებები, საჩივრები, ყველა ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებთან აწარმოოს მოლაპარაკებები და აღნიშნულ საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით განახორციელოს ნებისმიერი ქმედება.

ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით, მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცა მიმნდობს, ხოლო ერთი - ინახება ჩემს, ნოტარიუს ნათია ფაღავას სანოტარო არქივში და დანართად ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18090755, ამონაწერის მომზადების თარიღი: 27/08/2018 14:50:31 (ელექტრონული ვერსია).

ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში ინახება და თან ერთვის ჩემს მიერ 07.09.2018წ., დადასტურებულ მინდობილობას, რეგისტრაციის **N181091945**:

1. შპს „ტალღის"-ის წესდება, დამოწმებული 16.01.2006წ., ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრაციის N1-76 (ამონაბეჭდის შესაბამისობა ელექტრონულ ბაზაში დაცულ მონაცემებთან), დამოწმებული 07.09.2018წ., ჩემს, ნოტარიუს ნათია ფაღავას მიერ);
2. წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმებული 19.06.2008წ., ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ, რეგისტრაციის N1-9178 (ასლი);
3. ხელშეკრულება შპს „ოქროს ლომი 2008"–ის შესყიდვის შესახებ, დამოწმებული 04.04.2016წ., საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (ასლი);
4. შეთანხმება, დამოწმებული 24.10.2016წ., საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (ასლი);
5. კრების ოქმი, დამოწმებული 26.10.2016წ., საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (ასლი).

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10,0 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ., №507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1,80 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისწვტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა, სულ 13,80 ლარი.

შპს „ოქროს ლომი 2008"-ს სახელით
დირექტორი:

ნოტარიუსი _____ ნათია ფაღავა